



ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება



ბ 1



03/01/2023

ბრძანება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე მუხლების, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის ბრძანებით N260 დამტკიცებული "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ და „რ“ ქვეპუნქტების, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის N261 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის შერჩევის წესის“ მე-7 მუხლის პირველი, მეორე, მესამე პუნქტების შესაბამისად, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის თეონა გრიგოლაშვილის 2022 წლის 30 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (შიდა რეგისტრაციის N 2282) საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით ღია კონკურსი 2023 წლის 3 იანვრიდან.
2. დამტკიცდეს საკონკურსო განაცხადი დანართი №1 -ის შესაბამისად.
3. ამ ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო განაცხადი განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გავრცელდეს საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.
4. დაევალოს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი
თუთბერიძე გოჩა

ქ. ყაჭუაძე